ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9725359001
თარიღი:25/12/2025

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის

საკრებულოს

მორიგი სხდომის ოქმი N- 03

დ. ლენტეხი. 18 დეკემბერი.2025წ.

მიმდინარე წლის 18 დეკემბერს დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 21 (ოცდაერთი) წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ: მერის მოადგილე ლევან ლიპარტელიანი, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, მერიის განათლების, კუტურის , სპორტის, განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსი მ. ხვისტანი, ეკონომიკის სამსახურის მოსაკრებლის ადმინისტრირების და კონტროლის განყოფილების უფროსი ი. გვიჭიანი, მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დ. ლიპარტელიანი.

საკრებულოს მორიგ სხდომას ესწრებოდა საკრებულოს მოწვეული კონსულტანტი ამირან ლიპარტელიანი, საკრებულოს აპარატის უფროსი მაყვალა ჩანქსელიანი და აპარატის დამხმარე სპეციალისტები ნანი ბენდელიანი და ესმა მუკბანიანი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა სხდომის წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.,,საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

2. ,,2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ” ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის ბ-97.97250511 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დემური ლიპარტელიანი/

3**. მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მოსაკრებლის ადმინისტრირების და კონტროლის განყოფილების ინფორმაცია მიმდინარე წელს დასუფთავების მოსაკრებლის და სხვა ადგილობრივი შემოსავლების ამოღების შესახებ.**

/ მომხს: ეკონომიკის სამსახურის მოსაკრებლის ადმინისტრირების და კონტროლის განყოფილების უფროსი ი. გვიჭიანი/

4. **ა(ა)ი.პირის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ანგარიში მიმდინარე წელს გაწ ეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: ა(ა)ი.პირის საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფროსი გ. ონიანი/

5. ა(ა)ი. პ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის 2025 წლის გეგმა-პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელ-ლი გოგი ონიანი/

6. ინფორმაციის მოსმენა ლენტეხის მუნიციპალიტეტში ზამთრისწინა მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან ლიპარტელიანი/

7. ლენტეხის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი საახალწლო ღონისძიებების გეგმა-გრაფიკის განხილვა.

/მომხს: მერიის განათლების, კუტურის , სპორტის, განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსი მ. ხვისტანი/

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭისყრის შედეგის მიხედვით:

მომხრე -21

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - ,,საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მომხსენებელმა განმარტა, რომ ცვლილება შედის ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტში შემდეგის მიხედვით:

,,გ“ საქართველოს განათლების, მეცნიერენისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების, მათ შორის სენობის ძირითადი აგრეგატების შეკეთების სამუშაოების დაფინანსება/განხორციელება.“

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

განკარგულების პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -21

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - **,,საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

2. მოისმინეს: მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმ დემური ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - **,,2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ხუსხის დამტკიცების შესახებ” ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის ბ-97.97250511 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.** მომხსენებელმა განმარტა, რომ სოფ. ლამფალაშის მოსახლეობამ სოფლის კრების ოქმის საფუძველზე შეცვალა სოფელში შესარულებელი სამუშაო.

საკითხთან დაკავშირებით დამატებითი განმარტება გააკეთა მერის მოადგილემ ლევან ლიპარტელიანმა. აღნიშნა, რომ რომ სოფ. ლამფალაშში და მუწდიში უნდა დაგებულიყო ბეტონის გზა. იყო დაპირება ასეთი რომ სოფლის პროგრამის ფარგლებში დაიწყებოდა ბეტონის დაგება და მერე გაგრძელდებოდა სხვა პროექტის ფარგლებში. მაგრამ ასე არ მოხერხდა და რომ არ დაეკარგოს სოფელს თანხა მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომ მოეწყოს შიდა სასოფლო-საავტომობილო გზა და სანიაღვრე არხი.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

განკარგულების პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -21

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - **,,2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის ბ-97.97250511 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

3. მოისმინეს: მერიის ეკონომიკის სამსახურის მოსაკრებლის ადმინისტრირების და კონტროლის განყოფილების უფროსი ირა გვიჭიანმა წარმოადგინა ანგარიში - **მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მოსაკრებლის ადმინისტრირების და კონტროლის განყოფილების მიერ მიმდინარე წელს დასუფთავების მოსაკრებლის და სხვა ადგილობრივი შემოსავლების ამოღების შესახებ.**

დაისვა შეკითხვები:

1. **რამდენი იყო ერთ სულ მოსახლეზე გათვლილი დასუფთავების მოსაკრებელი?**

   პასუხად აღინიშნა, რომ მოსაკრებელი შეადგენს ერთ ლარს.

საკრებულოს წევრებმა გამოხატეს ინიციატივა - მერიის საფინანსო სამსახურმა მოიფიქროს ფორმა, რის მიხედვითაც დასაქმებულ პირებს, როგორც წყლის გადასახადი ასეთი ფორმით ჩამოეჭრათ დასუფთავების მოსაკრებელი.

ნინო ბენდელიანმა ისევ გააჟღერა მოთხოვნა ხერგიანის და გოგებაშვილის ქუჩებზე მეეზოვეების დანიშვნის თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით იყო კითხვები. მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა , რადგანაც არის შეკითხვები კომუნალურ მომსახურეობასთან, უახლოეს დღეებში მოსმენილი იქნას შესაბამისი აიპის ანგარიში და დავაზუსტოთ დღეს გაჟღერებული საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ეკ. სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის დადებითად შეფასებაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -21

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული მერიის ეკონომიკის სამსახურის მოსაკრებლის ადმინისტრირების და კონტროლის განყოფილების მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

4. მოისმინეს: ა(ა)ი.პირის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელმძღვანელმა გოგი ონიანმა სხდომის წევრებს გააცნო ანგარიში მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ. მან ვრცლად ილაპარაკა სამსახურის მნიშვნელობაზე, ფუნქციებზე და გაწეულ მუშაობაზე. განსაკუთრებით ყურადღება გააამახვილა უპატრონო ცხოველების მოძრავლებასთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემებზე, რომ უფრო მასიური გახდა ადამიანების დაკბენა და შესაბამისად გაზრდილია ვაქცინაციაც, თითქმის გაორმაგებულია წინა წელთან შედარებით.

შეკითხვა დასვა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილემ მურმან ტვილდიანმა - აღნიშნულ ორგანიზაციას თუ აქვს ცალკე ლაბორატორია?

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცალკე ლაბორატორია არ აქვთ და აუცილებელია რომ მომავალში ეს საკითხი მოგვარდეს.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -21

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული ა(ა)ი.პირის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ანგარიში მიმდინარე წელს გაწეული მუსაობის შესახებ.

5. მოისმინეს: ა(ა)ი.პირის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელმძღვანელმა გოგი ონიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - გეგმა-პროგრამის დანართში ცვლილების სეტანის თაობაზე. მომხსენებელმა განმარტა, რომ წლის განმავლობაში არ გამოუყენებიათ სამივლინებო თანხა და თანხმობის შემთხვევაში დაზოგილ თანხას გამოიყენებდა ახალ წელთან დაკავშირებით თანამშრომლებზე პრემიების გასაცემად.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -21

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: შევიდეს ცვლილება ა(ა) ი. პ საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული ცენტრის გეგმა-პროგრამაში წარმოდგენილი სახით.

6. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლევან ლიპარტელიანმა **სხდომის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ლენტეხის მუნიციპალიტეტში ზამთრისწინა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიამ დროულად დაიჭირა თადარიგი ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი დანიშნულების შიდა სასოფლო გზების თოვლის საფარისგან და ჩამონაშალი ქანებისგან გაწმენდით სამუშაოებზე. დროულად დაიდო პროექტი ტენდერზე. უკვე გვყავს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „შ.პ.ს ბელო და კომპანია", რომელსაც მერიამ გაუფორმა იჯარა-ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობების თანახმად მეიჯარემ უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის თემები ძძიმე ტექნიკით. წარმოდგენილია 9(ცხრა) ერთეული ტექნიკა, რომელიც გათვლილია თემების მიხედვით. (დანართი თან ერთვის).**

შეკითხვა დასვა - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ მევლუდ ლიპატრელიანმა - რამდენად არის შესაძლებელი, რომ ორ თემში ერთდროულად ერთიდაიგივე ტექნიკის გამოყენება.

მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ გამართული ტექნიკა არ შექმნის პრობლემას.

შეკითხვა: ადგილობრივი ხელმძღვანელობის წარმომადგენელი არ უნდა ახლდეს ტექნიკის მუშაობას?

მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა სასურველია იყოს წარმომადგენელიც.

კითხვა დასვა საკრებულოს წევრმა გამზა ლიპარტელიანმა - ცანაში რა მდგომარეობაა, თუ არის ამჟამად გზა ცანამდე?

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთავრობის დონეზე იყო ეს საკითხი განხილული და არის ასეთი გადაწყვეტილება, რომ ზამთრის პერიოდში ცანამდე შევინარჩუნოთ გზა, რადგანაც იქ არის ორი მოზამთრე ოჯახი.

სხდომის წევრებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ინფორმაცია.

7. მოისმინეს: მერიის განათლების, კულტურის , სპორტის, განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსმა მ. ხვისტანმა სხდომის წევრებს გააცნო **ლენტეხის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი საახალწლო ღონისძიებების გეგმა-გრაფიკის განხილვა.**

სხდომის წევრებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ინფორმაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ:

1. განხილული იქნა სოფ. კახურის მოსახლეობის განცხადება სისტემური რეგისტრაციების გაგრძელების თაობაზე.

მოისმინეს: საკრებულოს მოწვეულმა კონსულტანტმა ამირან ლიპარტელიანმა საკითხთან დაკავშირებით გააკეთა ზუსტი განმარტება. მან აღნიშნა, რომ შეიძლება გაკეთდეს მოხსენებითი ბარათი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტში სისტემური რეგისტრაცია გამონაკლისის სახით გაგრძელდეს ერთი წლით.

გადაწყვიტეს: დაევალოს მოწვეულ კონსულტანტს ამირან ლიპარტელიანს საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან ერთად მოამზადოს წერილი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გასაგზავნად.

2. **ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით ფურელიანმა სხდომის წევრებს გააცნო ბენდელიანების ერთობლივი განცხადება.** მან აღნიშნა, რომ ეს განცხადება კომისიამ განიხილა და კომისიის წევრები თვლიან , რომ არის ნამდვილად კეთილსინდისიერი მოთხოვნა ბენდელიანების ოჯახებიდან. კერძოდ, ტერიტორია , სადაც აშენებული იყო რაიონის საავადმყოფო ეკუთვნოდათ ბენდელიანების ოჯახებს, მაგრამ რაიონის ინტერესებიდან გამომდინარე გადეცა სახელმწიფოს. საავადმყოფოს შენობა და პოლიკლინიკა შეიძინა კერძო კომპანიამ ,,ადითმა", მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო აღნიშნულ ქონებას დღეს ადევს ყადაღა. პერსპექტივა აღნიშნულ კომპანიას არ აქვს. საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიები ნელნელა მიიტაცეს საავადმყოფოს გვერდით მდებარე საერთო საცხოვრებლის მობინადრეებმა, შემოიკავეს და აშენებენ დამხმარე ნაგებობებს. ბენდელიანების წარმომადგენლები განცხადებაში აღნიშნავენ, რომ თუ აღნიშნულ ტერიტორიებს სახელმწიფო გამოიყენებს მიზნობრივად, მათ არ აქვთ პრეტენზია, მაგრამ თუ უნდა მოხდეს გასხვისება, მაშინ უპირატესობა მიენიჭოს ბენდელიანების ოჯახებს.

საკითხთან დაკავშირებით იყო გარკვეული მსჯელობა და ბოლოს გადაწყვიტეს: რადგანაც ამ ეტამზე ადგილობრივ ხელმძღვანელობას არ გააჩნია სხვა ბერკეტი

ეთხოვოს მერიის ზედამხედველობის სამსახურს გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები , კერძოდ გააფრთხილოს ის პიროვნებები, რომლებიც ახდენენ აღნიშნული ტერიტორიების დაკავებას, შემოღობას- დაპატრონებას და შეაჩერონ ეს პროცესი.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დამთავრდა 14 საათსა და 30 წუთზე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი